ოქმი:**ო63. 63262012**
თარიღი:**20/07/2026**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N10

10 ივლისი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 10 ივლისს, ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ჯონი თევზაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ლელა ჩორგოლაშვილი, მაია ტალაბაძე, ლაშა მუქერია, როლანდ ეცადეიშვილი, მარიამ ცომაია, ქიშვარდი ღაღანიძე, მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ხელმძღვანელი - ალექსანდრე სტურუა.
2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' დირექტორის მ/შ - მარინა შენგელია, ბუღალტერი - ნინო რუხაძე.
3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს ბუღალტერი - ნინო რუხაძე.

დღის წესრიგი:

1.,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2026 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535825** განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.6325358 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო"-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე/

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (9 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2026 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535825 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე_ მოგახსენებთ, რომ იგეგმება ტურნირი მინი ფეხბურთში ,,სახელმწიფო რწმუნებულის თასი'', რომლის უზრუნველსაყოფად მოგვმართავენ თხოვნით, რომ შპს ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია"-ს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.632535825 განკარგულებით დამტკიცებული შპს ,,სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს 2026 წლის ხარჯები გაგვიზარდოთ 7,0 ათ. ლარით და მოვახდინოთ შემდეგი ცვლილება; ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევ ხარჯებში, გაგვიზარდოთ კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი - 7,0 ათ. ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-63.6325358 10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება ითხოვს ცვლილებას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის # გ-63.632535810 განკარგულებაში, 2026 წლის ბიუჯეტში, კერძოდ: არაფინანსურის აქტივების გეგმის შემცირებას 50.0 ათ.ლარით, შესაბამისად

საქონელი და მომსახურების გეგმის გაზრდას 50.0 ათ.ლარით (კომუნალური მომსახურების ხარჯის გასაწევად და სურსათის უვნებლობის შენიშვნების აღმოსაფხვრელად).

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი-ჯიკო“-ს 2026 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N გ-63.632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ჯონი თევზაძე - ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის “საფრენბურთო კლუბი ჯიკო“ ითხოვს 2025 წლის 24 დეკემბრის გ-63-632535819 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საქონელი და მომსახურეობის გეგმის შემცირებას 7.0 ათ.ლარით, შესაბამისად არაფინანსური აქტივების გეგმის გაზრდას 7.0 ათ.ლარით (კომპიუტერული ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად).

კომისიის წევრებმა მოისმინეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), ეთანხმება რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი